მისი წყალი სუფთაა, ხოლო მისი მკვდარი (ზღვის ბინადარი) — ნებადართულია

აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ერთმა კაცმა ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხა: "ო ალლაჰის მოციქულო, ჩვენ ზღვით ვმოგზაურობთ და თან მხოლოდ ცოტა წყალს ვიღებთ. თუ მას განბანვისთვის გამოვიყენებთ, სასმელად წყალი აღარ დაგვრჩება. შეგვიძლია თუ არა ზღვის წყლით განბანვა?" ამაზე ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «მისი წყალი სუფთაა, ხოლო მისი მკვდარი (ზღვის ბინადარი) — ნებადართულია».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه أبو داود والترمذي والنسائي وابن ماجه وأحمد]

ერთმა კაცმა ჰკითხა მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): "ჩვენ ზღვით ვმოგზაურობთ გემებზე, ვთევზაობთ ან ვვაჭრობთ და მსგავსი საქმეებით ვართ დაკავებულნი. თან ცოტაოდენ სასმელ წყალს ვიღებთ. თუ მას აბდესისა და ღუსლისთვის გამოვიყენებთ, ის გამოგველევა და დასალევად აღარ დაგვრჩება. შეგვიძლია თუ არა ზღვის წყლით აბდესის აღება?" მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზღვის წყლის შესახებ თქვა: ზღვის წყალი სუფთაა და განწმენდისთვის ვარგისია; ნებადართულია მისი გამოყენება აბდესისა და ღუსლისთვის. ასევე ნებადართულია საკვებად გამოყენება იმისა, რაც მასში მოიპოვება, იქნება ეს თევზი თუ სხვა ზღვის არსებები, თუნდაც ისინი წყლის ზედაპირზე მკვდარი იყოს აღმოჩენილი, მათ დაჭერის გარეშე.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/8355